საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

1747-გ-2-201406131732

N 1747-გ 13/06/2014

GRASS REFORMANDA
აარპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 179
თარიღი: 17 06 2014 წ.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის დირექტორს
ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განიხილა მიმდინარე წლის 29 მაისს თქვენი სახელით ფონდში შემოსული განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ:

- თბილისის მეტროპოლიტენის მეორე ხაზის დასრულებისა და სადგურ
- „უნივერსიტეტის" პროექტის სამშენებლო სამუშაოები დაიწყება მიმდინარე წლის ბოლოს.
- პროექტის განმახორციელებელ უწყებას წარმოადგენს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, რომელიც დაქირავებული საერთაშორისო საზედამხედველო ფირმის მეშვეობით გაუწევს ზედამხედველობას სამუშაოების მიმდინარეობას. პასუხისმგებელი სამუშაოების შესრულებაზე იქნება ტენდერის შედეგად შერჩეული სამშენბლო კომპანია, რომლის ვალდებულებები დეტალურად იქნება გაწერილი სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტში.
- პროექტის წინასწარი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 37.56 მილიონ ევროს. ღირებულება დაზუსტდება ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანიის წარმოდგენილი ფასისი მიხედვით.
- დაგეგმილი პროექტი განხორციელდება აზიის განვითარების ბანკის სესხით ურბანული ტრანსპორტის მდგრადი განვითარების პროექტის ფარგლებში.
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათვალისიწნებულია თანადაფინანსება 18 %-ის ოდენობით, მთლიანად მთელი პროექტის განხორციელების განმავლობაში, კერძოდ 21 თვე.
- როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სამუშაოების დაწყება დაგეგმილია მიმდინარე წლის ბოლოს, სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 21 თვეს.
- ამჟამად სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობს,პროექტი სატენდერო ფაზაშია.
- 2003-2012 წლებში სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე საქართველის მუნიციპალური განვითარების ფონდი ინფორმაციას არ ფლობს;

დ. აღმაშენებლის გამზ. №150
0112, თბილისი, საქართველო
ტელ. (+99532) 2437001/02/03
ფაქსი: (+99532) 2437077
ელ. ფოსტა: mdf@mdf.org.ge

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112, Tbilisi, Georgia
Tel: (+99532) 2437001/02/03
Fax: (+99532) 2437077
E – mail: mdf@mdf.org.ge

- 2003 წლიდან 2012 წლამდე რა ხდებოდა ფონდი ამაზე ინფორმაციას არ ფლობს. 2012-2013 წლებში კი მიმდინარეობდა საპროექტო სამუშაოები ზემოთ აღნიშნული პროექტის მოსამზადებლად;
- 2003-2012 წლებში მეტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ფონდი ინფორმაციას არ ფლობს. აღნიშნულ საკითხზე მიმართეთ თბილისის სატრანსპორტო კომპანიას.

ლანა ბერიძე

ლ. ბერიძე

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

საზ-ბასთან ურთიერთობის სამსახური